მთა და ბარი

მთაო, რად აგრე ჰგულდიდობ,
ცერად დაჰყურებ ბარსაო?!
რადგანაც ძირით გიცქერის,
მით არ უყადრებ თავსაო?
სალის კლდეებით ამაყობ,
თოვლითა, ყინულითაო;
კენკეშა, ურძან-ქუჩითა,
პირიმზე-მწირულითაო.
შენ არად მოგწონს ბარისა
დიდი სიმდიდრე ხილითა,
ოქროთ ნაქარგი გულ-მკერდი,
ზედ მარგალიტის ღილითა;
არ-რადმე გეჭაშნიკება
ვარდის გაფურჩქვნა დილითა,
გულით დარდების გადაყრა
წითლის კახურის ღვინითა.
შენი ძმა არი ბარიცა.
სთველ-ზაფხულ ბარაქიანი,
გმირთ სისხლით შაღებილი აქვს
ველები ბალახიანი.
შენი ხევებიც იქ ჩადის,
ხევები კალმახიანი.
საფუძვლად, მთაო, ბარი გაქვს,
იცოდე, ტალახიანი.
თუ ის ჩავარდა უფსკრულსა,
შენ თან ჩაყვები ნიადა;
არ გარგებს, თორო შენ იცი,
მთავ, ამაყობა ფრიადა.

1889 წ.